საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მუდროსის დაზავება 1918

მუდროსის დაზავება 1918, ზავი, რომელსაც 30 ოქტომბერს ხელი მოაწერეს დიდი ბრიტანეთისა და ოსმალეთის სულთნის მთავრობის წარმომადგენლებმა ინგლ. კრეისერ „აგამემნონზე“, მუდროსის ნავსადგურში (კ. ლემნოსი). I მსოფლიო ომში (1914–18) ოსმალეთის დამარცხების შემდეგ, **მ. დ**-ით ანტანტის სახელმწიფოების სამხ. ხომალდებისათვის იხსნებოდა ბოსფორი და დარდანელი. მათ ამ სრუტეებში ფორტების დაკავების უფლება ეძლეოდათ. ოსმალეთს ჯარები უნდა გაეყვანა ოსმ. იმპერიის ყველა არაბ. ოლქიდან, ირანიდან, სამხრ. კავკასიიდან და კილიკიიდან; უნდა მოეხდინა არმიის დემობილიზაცია და ანტანტისათვის იმ სამხ. ხომალდების გადაცემა, რ-ებიც ოსმალეთის ან მისი ფლოტის მიერ დაკავებულ წყლებში იმყოფებოდნენ, ხოლო ზავის მე-15 მუხლის მიხედვით, ინგლისის ჯარებს ბაქოს, ბათუმისა და სამხრ. კავკ. სხვა ქალაქების ოკუპაციის უფლება ეძლეოდათ. მთელი სამხრ. კავკ. დიდი ბრიტანეთის ერთპიროვნული გავლენის ზონად გამოცხადდა.

ლიტ.: ს ვ ა ნ ი ძ ე მ., ოსმალეთის ისტორია (1600–1923), ტ. 2, თბ., 2002; ქართული დიპლომატიური ლექსიკონი, მთ. რედ. რ. მეტრეველი. ტ. 2, თბ., 1999; ჩ ა ჩ ხ ი ა ნ ი ა., მუდროსის ზავი – ოსმალეთის იმპერიის დასასრულის დასაწყისი, კრ.: ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, 1 (16), 2015.